ერთჯერადი საქონლის მიწოდება მომსახურების ხელშეკრულება

ქ. თბილისი 6 მაისი 2020 წელი

ერთის მხრივ, სსიპ - ქალაქ გორის № 5 საჯარო სკოლა ს.კ 218016714 შემდგომში ,,შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ, ი/მ გიორგი გიორგაძე ს.კ. 01001097576 ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე_3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს“ ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანია ქალაქ გორის № 5 საჯარო სკოლაში ცეცხლმაქრი მოწყობილობის დატენვა (მონტაჟი შემდგომი გამოყენებისთვის) CPV – 35100000) ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

მომსახურების საერთო ღირებულება შეადგენს (ცეცხლმაქრი მოწყობილობის) დატენვა 140.00 (ასორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარსა და მოიცავს საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადსა და მოსაკრებელს.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერაზე უფლებამოსილ პირს, წარმოადგენს წინამდებარე ხეკშეკრულების 6.1 პუნქტში მითითებული პირი.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მომსახურების მიღების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. მომსახურების მიღების ადგილი და ვადა

4.1 საქონლის მიწოდება მომსახურების მიღების ადგილია შემსყიდველის ადგილსამყოფელი

ქ. გორი ზ.რუხაძის № 62

4.2 მომსახურების ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაო უნდა შესრულდეს ხელშეკრულების დადებიდან 10 დღის ვადაში.

მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრლებისა და ხარსხის ინსპექტირება;

ბ) გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების პირობების შესრულებასთან დაკავშირებული დოკუმენტები;

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი----------

5.2 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
5.3 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;
ბ) ხარვეზის შემთხვევაში უზრუნველყოს უხარისხოდ შესრულებული მომსახურების გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;
გ) უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა. კერძოდ:
2 ცეცხლმაქრი მოწყობილობის დატენვა. (მონტაჟი შემდგომი გამოტენებისათვის)

მუხლი 6. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს სსიპ - ქალაქ გორის № 5 საჯარო სკოლის დირექტორი
6.2 ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების, აგრეთვე მომსახურების ხარისხის შემოწმებას.

მუხლი 7. პირგასამტეხლო

7.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოცენობით. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.2%-ის ოდენობით.
7.2 იმ შემთხვევაში თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს საერთო ოდენობა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 3 (სამ) პროცენტს შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს და შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება საქართველოს კანონდებლობის შესაბამისად.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

მხარეებს არ ეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის, თუკი ეს გამოწვეულია ფორც-მაჟორული ვითარები გამო, რომლის წინასწარ განზრახვა, აცილება ან მასზე ზემოქმედება შეუძლებელი იყო შესაბამისი მხარის ან მხარეთა ერთობლივი ძალისხმევით
ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული დამკვეთის ან/და შემსრულებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.
ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი----------

მუხლი 9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და ძალაშია მათ მიერ საკუთარი ვალდებულებების ბოლომდე შესრულებამდე.

ხელმოწერის დღედ ითვლება წინამდებარე ხელშეკრულების პირველ გვერდზე, მარჯვენა ზედა კუთხეში აღნიშნული თარიღი.

ხელშერკულების შეწყვეტა დაუყოვნებლივ შესაძლებელია ერთ-ერთი მხარის ინიციატივით თუ:

მეორე მხარე უხეშად ან არაერთგზის არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

შეიცვალა გარემოებები რომლებიც ამ ხელშეკრულების დადებისას იყო და მხარეები შეცვლილ ვიარებაში დადებდნენ ხელშეკრულებას სხვა პირობებით ან არ დადებდნენ მას;

ხელშეკრულების შეწყვეტა ვადამდე შესაძლებელია მხარეთა შორის ორმხრივი წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 10. დავები, მათი გადაწყვეტის წესი და გამოსაყენებელი სამართალი

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით.

შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავას განიხილავს სასამართლო საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2020 წლის 31 მაისის ჩათვლით.

მუხლი 12. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი ძალის მქონდე ორ ეგზემპლარად და თითოეული ინახება მხარეებთან.

მუხლი 13. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
სსიპ - ქალაქ გორის № 5 საჯარო სკოლა	ი/მ გიორგი გიორგაძე
ს.კ.: 218016714	ს.კ.: 01001097576
იურიდიული მისამართი: ქ. გორი ზ.რუხაძის № 62	იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი გლდანის V მ/რ
ფაქტობრივი მისამართი: ქ. გორი ზ.რუხაძის № 62	ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი გლდანის V მ/რ
ელ. ფოსტა: gori5@mes.gov.ge	ელ. ფოსტა: saxandzroteqniki2011@gmail.com
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები: GE83BG0000000162603035
ხელმომწერი პირი:	ხელმომწერი პირი: გიორგი გიორგაძე

Giorgi Digitally signed by Giorgi Date: 2020.05.06 11:38:25 +04'00'

შემსყიდველი ---------- მიმწოდებელი----------